2606

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 3 მაისი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 18 (229). ფასი 30 კაპ.

F76 N 460

ბრძანება
თავდაცვის სახალხო კომისრისა

1942 წლის 1 მაისი № 130 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო, მუშებო, გლეხებო—კაცებო და ქალებო, ინტელიგენტური შრომის ადამიანებო, ფრონტს გადაღმა, გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზურგში მყოფო ძმებო და დებო, რომლებიც დროებით მოექეცით გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღეს!

ამხანაგებო! წელს ჩვენი ქვეყნის ხალხები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის ვითარებაში ეგებებიან 1 მაისის საერთაშორისო დღეს. ომმა თავისი დაღი დააჩნია ჩვენი ცხოვრების ყოველ მხარეს. მან დაღი დააჩნია დღევანდელ დღესაც, 1 მაისის დღესასწაულს. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მხედველობაში მიიღეს საომარი ვითარება და უარი განაცხადეს სადღესასწაულო დასვენებაზე, რათა დღევანდელი დღე გაატარონ დაძაბულ შრომაში ჩვენი სამშობლოს თავდაცვისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, რომლებიც ჩვენი ფრონტის მებრძოლებთან ერთიანი ცხოვრებით ცხოვრობენ, 1 მაისის დღესასწაული გადააქციეს შრომისა და ბრძოლის დღედ, რათა რაც შეიძლება მეტი დახმარება გაუწიონ ფრონტს და რაც შეიძლება მეტი შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტანკი, თვითმფრინავი, საომარი მასალა, პური, ხორცი, თევზი, ბოსტნეული მისცენ მას.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ფრონტი და ზურგი წარმოადგენენ ერთიან და განუყრელ მებრძოლ ბანაკს, რომელიც მზად არის გადალახოს ყოველგვარი სიძნელენი მტერზე გამარჯვების გზაზე.

ამხანაგებო! ორ წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ომის უფსკრულში გადასჩეხეს ევროპა, დაიპყრეს ევროპის კონტინენტის თავისუფლებისმოყვარე ქვეყნები—საფრანგეთი, ნორვეგია, დანია, ბელგია, ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი,—და სისხლს სწოვენ მათ გერმანელი ბანკირების გამდიდრების გულისათვის. ათ თვეზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი უსინიდისოდ და ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას, სძარცვავენ და აჩანაგებენ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს, ძალმომრეობენ და ხოცავენ ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, უკრაინის, მოლდავეთის მშვიდობიან მოსახლეობას. ათ თვეზე მეტმა განვლო, რაც ჩვენი ქვეყნის ხალხები სამამულო ომს ეწევიან გამხეცებული მტრის წინააღმდეგ და თავიანთ სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას იცავენ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ საშუალება გვქონდა საკმაოდ კარგად დავკვირვებოდით გერმანელ ფაშისტებს, გაგვეგო მათი ნამდვილი განზრახვები, გაგვეცნო მათი ნამდვილი სახე, გაგვეცნო არა სიტყვიერ განცხადებათა საფუძველზე, არამედ ომის გამოცდილების საფუძველზე, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

ვინ არიან ისინი, ჩვენი მტრები, გერმანელი ფაშისტები? რა ადამიანები არიან? რას გვასწავლის ამის შესახებ ომის გამოცდილება?

ამბობენ, გერმანელი ფაშისტები ნაციონალისტები არიან, რომლებიც გერმანიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას იცავენ სხვა სახელმწიფოთა თავდასხმისაგანო. ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა. მხოლოდ მატყუარებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ნორვეგია, დანია, ბელგია, ჰოლანდია, საბერძნეთი, საბჭოთა კავშირი და სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნები გერმანიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას ემუქრებოდნენ. ნამდვილად გერმანელი ფაშისტები არიან არა ნაციონალისტები, არამედ იმპერიალისტები, რომლებიც სხვის ქვეყნებს იპყრობენ და სისხლს სწოვენ მათ იმისათვის, რომ გერმანელი ბანკირები და პლუტოკრატები გაამდიდრონ. გერინგი, გერმანელ ფაშისტთა მეთაური, როგორც ცნობილია, თვითონ არის ერთერთი პირველი ბანკირი და პლუტოკრატი, რომელიც ათობით ქარხნებისა და ფაბრიკების ექსპლოატაციას ეწევა. ჰიტლერი, გებელსი, რიბენტროპი, ჰიმლერი და ახლანდელი გერმანიის სხვა მმართველები გერმანელ ბანკირთა დაბმული ძაღლები არიან, რომლებიც ყველა სხვა ინტერესებზე მაღლა აყენებენ ამ ბანკირთა ინტერესებს. ამ ვაჟბატონთა ხელში გერმანიის არმია ბრმა იარაღია, რომელიც მოწოდებულია თავისი და სხვისი სისხლი ღვაროს და თავისი თავი და სხვები ასახიჩროს არა გერმანიის ინტერესებისათვის, არამედ გერმანელ ბანკირთა და პლუტოკრატთა გამდიდრებისათვის.

ამას გვეუბნება ომის გამოცდილება.

ამბობენ, გერმანელი ფაშისტები სოციალისტები არიან, რომლებიც ცდილობენ პლუტოკრატების წინააღმდეგ დაიცვან მუშებისა და გლეხების ინტერესებიო. ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა. მხოლოდ მატყუარებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც მონური შრომა შემოიღეს ქარხნებსა და ფაბრიკებში და რომლებმაც ბატონყმური წესები აღადგინეს გერმანიისა და დაპყრობილი ქვეყნების სოფლებში,—მუშებისა და გლეხების დამცველები არიანო. მხოლოდ გათავხედებულ მატყუარებს შეუძლიათ იმის უარყოფა, რომ მონურ ბატონყმური წესები, რომლებსაც გერმანელი ფაშისტები ამყარებენ, ხელსაყრელია გერმანელი პლუტოკრატებისა და ბანკირებისათვის, და არა მუშებისა და გლეხებისათვის. ნამდვილად გერმანელი ფაშისტები რეაქციონერი მებატონეები არიან, გერმანელთა არმია კი მებატონეთა არმიაა, რომელიც სისხლსა ღვრის გერმანელი ბარონების გასამდიდრებლად და მემამულეთა ხელისუფლების აღსადგენად.

ამას გვეუბნება ომის გამოცდილება.

ამბობენ, გერმანელი ფაშისტები ევროპის კულტურის მატარებლები არიან, რომელნიც ომს ამ კულტურის სხვა ქვეყნებში გასავრცელებლად ეწევიანო. ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა. მხოლოდ პროფესიონალ მატყუარებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც სახრჩობელებით მოჰფინეს ევროპა, რომლებიც სძარცვავენ და აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას, ცეცხლს უკიდებენ და აფეთქებენ ქალაქებსა და სოფლებს და ანგრევენ ევროპის ხალხთა კულტურულ საუნჯეებს,—შეიძლება ევროპული კულტურის მატარებლები იყვნენ. ნამდვილად გერმანელი ფაშისტები ევროპული კულტურის მტრები არიან, ხოლო გერმანელთა არმია შუასაუკუნეების ბნელეთის მოციქულთა არმიაა, რომელიც მოწოდებულია გაანადგუროს ევროპული კულტურა გერმანელი ბანკირებისა და ბარონების მონათმფლობელური „კულტურის“ დასანერგავად.

ამას გვეუბნება ომის გამოცდილება.

ასეთია ჩვენი მტრის სახე, რომელიც გამოააშკარავა და სინათლეზე გამოიტანა ომის გამოცდილებამ.

მაგრამ ომის გამოცდილება ამ დასკვნებით არ განისაზღვრება. გარდა ამისა, ომის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ომის პერიოდში სერიოზული ცვლილებები მოხდა როგორც ფაშისტური გერმანიისა და მისი არმიის მდგომარეობაში, ისე ჩვენი ქვეყნისა და წითელი არმიის მდგომარეობაში.

რა ცვლილებებია ეს?

უწინარეს ყოვლისა, უეჭველია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ფაშისტური გერმანია და მისი არმია უფრო სუსტი გახდნენ, ვიდრე ათი თვის წინათ იყო. ომმა დიდად გაუცრუა იმედები გერმანელ ხალხს, მოუტანა მილიონობით ადამიანთა მსხვერპლი, შიმშილი, გაღატაკება. ომს ბოლო არ უჩანს, ადამიანთა რეზერვები კი ილევა, ნავთი ილევა, ნედლეული ილევა. გერმანელ ხალხში უფრო და უფრო მატულობს იმის შეგნება, რომ გერმანიის დამარცხება გარდუვალია. გერმანელი ხალხისათვის უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია გერმანიის განთავისუფლება ჰიტლერ-გერინგის ავანტიურისტული ხროვისაგან.

ჰიტლერის იმპერიალიზმმა ევროპის ვრცელი ტერიტორიები დაიკავა, მაგრამ მან ვერ გასტეხა ევროპის ხალხთა ნებისყოფა წინააღმდეგობის გაწევისადმი. დამონებულ ხალხთა ბრძოლა გერმანელი ფაშისტი ყაჩაღების რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო ხასიათს იღებს. ყველა ოკუპირებულ ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საბოტაჟი სამხედრო ქარხნებში, გერმანელთა საწყობების აფეთქება, გერმანელთა სამხედრო ეშელონების მარცხის მოწყობა, გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დახოცვა. მთელ იუგოსლავიას და გერმანელების მიერ დაკავებულ საბჭოთა რაიონებს მოდებული აქვს პარტიზანული ომის ხანძარი.

ყველა ამ გარემოებამ გამოიწვია გერმანელთა ზურგის დასუსტება, და, მაშასადამე, მთლიანად ფაშისტური გერმანიის დასუსტებაც.

რაც შეეხება გერმანელთა არმიას, მიუხედავად მისი შეუპოვრობისა თავდაცვაში, იგი მაინც ბევრად უფრო სუსტი გახდა, ვიდრე ათი თვის წინათ იყო. მისი ძველი, გამოცდილი გენერლები, როგორიც იყვნენ რაიხენაუ, ბრაუხიჩი, ტოდტი და სხვები, ან დახოცა წითელმა არმიამ ან და გარეკილი არიან გერმანელი ფაშისტების ზედაფენების მიერ. მისი კადრის ოფიცერთა შემადგენლობა ნაწილობრივ წითელმა არმიამ გაჟლიტა, ნაწილობრივ კი გაიხრწნა სამოქალაქო მოსახლეობის ძარცვისა და მის მიმართ ძალადობის შედეგად. მის რიგითს შემადგენლობას, რომელიც სერიოზულად დასუსტდა საომარი ოპერაციების მსვლელობაში, სულ უფრო და უფრო ნაკლები შევსება მოსდის.

მეორე, უეჭველია, რომ ომის განვლილ პერიოდში ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე ომის დასაწყისში იყო. არა მარტო მეგობრები, არამედ მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ახლა ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად არის გაერთიანებული და დარაზმული თავისი მთავრობის გარშემო, ვიდრე ოდესმე ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ზურგი და ფრონტი გაერთიანებულია ერთიან მებრძოლ ბანაკად, რომელიც ერთ მიზანს ურტყამს, რომ საბჭოთა ადამიანები ზურგში სულ უფრო მეტსა და მეტს შაშხანას და ტყვიამფრქვევს, ნაღმსატყორცნსა და ქვემეხს, ტანკებსა და თვითმფრინავებს, სურსათსა და საომარ მასალას აწვდიან ჩვენს ფრონტს.

რაც შეეხება ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობას, იგი ამ უკანასკნელ დროს ისე განმტკიცდა და გაიზარდა, როგორც არასოდეს. გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანდა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი. მათი თვალი საბჭოთა კავშირისაკენ არის მოპყრობილი. გმირული ბრძოლა, რასაც ჩვენი ქვეყნის ხალხები ეწევიან თავიანთი თავისუფლებისა, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის აღტაცებას იწვევს. ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის ხალხები საბჭოთა კავშირს უყურებენ, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს იხსნას მსოფლიო ჰიტლერული შავი ჭირისაგან. ამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უჭირავთ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებთანაც ჩვენ გვაერთებს მეგობრობა და კავშირი და რომელნიც უფრო და უფრო მეტ სამხედრო დახმარებას უწევენ ჩვენს ქვეყანას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ყველა ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრად უფრო ძლიერი გახდა.

დასასრულ, უეჭველია, რომ განვლილი პერიოდის მანძილზე წითელი არმია უფრო ორგანიზებული და ძლიერი გახდა, ვიდრე ომის დაწყებისას იყო. შემთხვევითს მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ დროებითი უკან დახევის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო გერმანელი იმპერიალისტების ვერაგული თავდასხმით, წითელმა არმიამ გარდატეხას მიაღწია ომის მიმდინარეობაში და აქტიური თავდაცვიდან მტრის ჯარების წინააღმდეგ წარმატებითს შეტევაზე გადავიდა. ეს ფაქტია, რომ წითელი არმიის წარმატებათა მეოხებით სამამულო ომი შევიდა ახალ პერიოდში,—ჰიტლერული სიბილწისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების პერიოდში. მართალია, ამ ისტორიული ამოცანის შესრულებას წითელი არმია სუსხიანი და დიდთოვლიანი ზამთრის ძნელ პირობებში შეუდგა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან დიდ წარმატებებს მიაღწია. წითელმა არმიამ ხელთ იგდო საომარი მოქმედების ინიციატივა, არაერთი სასტიკი დამარცხება აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს და აიძულა ისინი გაეწმინდათ საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩაიფუშა დამპყრობთა ვარაუდი—გამოეყენებინათ ზამთარი შესასვენებლად და თავიანთი თავდაცვის ხაზზე დასამკვიდრებლად. შეტევის დროს წითელმა არმიამ უდიდესი რაოდენობით მოსპო მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ცოტა რაოდენობის ტექნიკა როდი წაართვა მტერს და აიძულა იგი ნაადრევად დაეხარჯნა ღრმა ზურგის რეზერვები, რაც გაზაფხულ-ზაფხულის ოპერაციებისათვის იყო განკუთვნილი.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ წითელი არმია უფრო ორგანიზებული და უფრო ძლიერი გახდა, მისი ოფიცერთა კადრები გამოიწრთო ბრძოლებში, ხოლო მისი გენერლები უფრო გამოცდილი და გამჭრიახი გახდნენ.

გარდატეხა მოხდა წითელი არმიის რიგითს შემადგენლობაშიც.

გაჰქრა მტრის მიმართ გულმოწყალეობა და დაუდევრობა, რასაც ადგილი ჰქონდა მებრძოლთა შორის სამამულო ომის პირველ თვეებში. მხეცობამ, ძარცვამ და ძალადობამ, რასაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები მშვიდობიანი მოსახლეობისა და საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ სჩადიან, განკურნეს ჩვენი მებრძოლნი ამ სენისაგან. მებრძოლები უფრო სასტიკნი და ულმობელნი გახდნენ. მათ ისწავლეს ნამდვილი სიძულვილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისადმი. მათ შეიგნეს, რომ მტერზე გამარჯვება ისე არ შეიძლება, თუ არ ჩაინერგე მისდამი სიძულვილი მთელი არსებით.

გათავდა ის ლაყბობა გერმანელთა ჯარების უძლეველობის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ომის დასაწყისში და რაშიაც იმალებოდა შიში გერმანელების წინაშე. როსტოვთან და ქერჩთან, მოსკოვთან და კალინინთან, ტიხვინთან და ლენინგრადთან შესანიშნავმა ბრძოლებმა, როდესაც წითელმა არმიამ გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი გააქცია, დაარწმუნა ჩვენი მებრძოლნი, რომ ლაყბობა გერმანელთა ჯარების უძლეველობის შესახებ ფაშისტი პროპაგანდისტების მიერ შეთხზულ ზღაპარს წარმოადგენს. ომის გამოცდილებამ დაარწმუნა ჩვენი მებრძოლი, რომ გერმანელი ოფიცრის ეგრეთწოდებული სიმამაცე ერთობ შედარებითი რამ არის, რომ გერმანელი ოფიცერი სიმამაცეს მაშინ იჩენს, როცა საქმე აქვს უიარაღო სამხედრო ტყვეებთან და მშვიდობიან სამოქალაქო მოსახლეობასთან, მაგრამ იგი სიმამაცეს ჰკარგავს, როდესაც მის წინაშე წითელი არმიის ორგანიზებული ძალაა. გაიხსენეთ ხალხური ანდაზა: „ცხვრების წინააღმდეგ ყოჩაღია, მაგრამ ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარიაო“.

ასეთია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის გამოცდილებიდან მიღებული დასკვნები.

რას გვეუბნება ეს დასკვნები?

ეს დასკვნები იმას გვეუბნება, რომ ჩვენ შეგვიძლია ვანადგუროთ და მომავალშიც უნდა ვანადგუროთ გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მანამდე, სანამ სრულიად არ გავჟლეტთ მათ, სანამ სავსებით არ გავათავისუფლებთ საბჭოთა მიწა-წყალს ჰიტლერელი არამზადებისაგან.

ამხანაგებო! ჩვენ სამამულო, განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს ვაწარმოებთ. ჩვენ ისეთი მიზნები როდი გვაქვს, რომ სხვისი ქვეყნები ჩავიგდოთ ხელში, სხვა ხალხები დავიპყროთ. ჩვენი მიზანი ნათელი და კეთილშობილია. ჩვენ გვსურს გავათავისუფლოთ ჩვენი საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი არამზადებისაგან. ჩვენ გვსურს ვიხსნათ ჩვენი ძმები—უკრაინელები, მოლდაველები, ბელორუსები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, კარელები იმ სირცხვილისა და დამცირებისაგან, რასაც მათ აყენებენ გერმანელი ფაშისტი არამზადები. ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენ უნდა დავამარცხოთ გერმანელ ფაშისტთა არმია და გავჟლიტოთ გერმანელი ოკუპანტები უკანასკნელ კაცამდე, რამდენადაც ისინი ტყვედ არ დაგვნებდებიან. სხვა გზა არ არსებობს. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ეს და კიდევაც უნდა გავაკეთოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს.

წითელ არმიას ყველაფერი მოეპოვება რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ განახორციელოს ეს დიადი მიზანი. მას მხოლოდ ერთი რამ აკლია — იმის უნარი, რომ მთლიანად გამოიყენოს მტრის წინააღმდეგ ის პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელსაც მას ჩვენი სამშობლო აძლევს. ამიტომ წითელი არმიის, მის მებრძოლთა, მის მეტყვიამფრქვეველთა, მის არტილერისტთა, მის ნაღმმტყორცნელთა, მის ტანკისტთა, მის მფრინავთა და კავალერისტთა ამოცანა ის არის, რომ ისწავლონ სამხედრო საქმე, ისწავლონ ბეჯითად, ზედმიწევნით შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები და ამრიგად ისწავლონ მტრის უეჭველი განადგურება. მხოლოდ ასე შეიძლება ვისწავლოთ მტერზე გამარჯვების ხელოვნება.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო—კაცებო და ქალებო!

მოგესალმებით და გილოცავთ რა 1 მაისის დღეს, ვბრძანებ:

1. რიგითმა მებრძოლებმა ზედმიწევნით შეისწავლონ შაშხანა, გახდნენ თავიანთი იარაღის ოსტატები, დაუცდენლად ურტყან მტერს ისე, როგორც ურტყამენ მათ ჩვენი სახელოვანი სნაიპერები, გერმანელ ოკუპანტთა გამანადგურებელნი!

2. მეტყვიამფრქვეველებმა, არტილერისტებმა, ნაღმმტყორცნელებმა, ტანკისტებმა, მფრინავებმა—ზედმიწევნით შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები, ულმობლად ჟლიტონ გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მათს სრულ განადგურებამდე!

3. ჯარების საერთო მეთაურებმა ზედმიწევნით შეისწავლონ ჯარების გვარეობათა თანამოქმედების საქმე, გახდნენ ჯარების გაძღოლის საქმის ოსტატნი, მთელ მსოფლიოს დაანახვონ, რომ წითელ არმიას უნარი შესწევს შეასრულოს თავისი დიადი განმათავისუფლებელი მისია!

4. მთელმა წითელმა არმიამ მიაღწიოს იმას, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და ჰიტლერელი არამზადებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების წელი გახდეს!

5. პარტიზანებმა—კაცებმა და ქალებმა—გააძლიერონ პარტიზანული ომი გერმანელ დამპყრობთა ზურგში, ანგრიონ მტრის კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის საშუალებანი, ანადგურონ მტრის შტაბები და ტექნიკა, არ დაზოგონ ვაზნები, ჩვენი სამშობლოს მჩაგვრელთა მოსასპობად!

დიდი ლენინის უძლეველი დროშით წინ, გამარჯვებისაკენ!

თავდაცვის სახალხო კომისარი ი. სტალინი

შრომისა და ბრძოლის დღეები

პირველი მაისი საერთაშორისო პროლეტარიატის საბრძოლო ძალების, მისი საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერებისა და შემოწმების დღეა. იგი მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის ყოველთვის სიხარულის დღე იყო, ეს დღე მატებდა მათ მხნეობას, აძლიერებდა მათ იმედს, კაპიტალიზმზე გამარჯვების იმედს. ასკეცად უფრო სასიხარულო იყო ეს დღე სოციალისტური სამშობლოს მოქალაქეთათვის, რადგან ყოველი საბჭოთა პატრიოტი ამ დღეს უღრმესი სიამაყით გადახედავდა ხოლმე საბჭოთა ხალხის მიერ განვლილ სახელოვან გზას, აჯამებდა თავის მიღწევებს, ხარობდა ნამდვილი სიხარულით. ნამდვილად გრძნობდა თავს ყველაზე თავისუფალ, ყველაზე ბედნიერ ადამიანად მთელს მსოფლიოში. პირველი მაისი გადაიქცა უსაყვარლეს დღესასწაულად ყოველი საბჭოთა პატრიოტისათვის.

წელს გერმანელ ფაშისტ იმპერიალისტების მიერ გაჩაღებულმა წარმოუდგენელმა სისხლისღვრამ, მათი ყაჩაღური ურდოების შემოჭრამ ჩვენს მიწა-წყალზე საბჭოთა ხალხს საშუალება არ მისცა ედღესასწაულნა პირველი მაისი ისეთი სიხარულითა და ზეიმით, როგორითაც წინა წლებში დღესასწაულობდა მას გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა. როგორც თავდაცვის სახალხო კომისარი ამხანაგი სტალინი ბრძანებს, „ომმა თავისი დაღი დააჩნია ჩვენი ცხოვრების ყოველ მხარეს, მან დაღი დააჩნია დღევანდელ დღესაც, პირველი მაისის დღესასწაულსაც. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მხედველობაში მიიღეს საომარი ვითარება და უარი განაცხადეს სადღესასწაულო დასვენებაზე, რათა დღევანდელ დღეს დაძაბულად იშრომონ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, რომლებიც ჩვენი ფრონტის მებრძოლებთან ერთიანი ცხოვრებით ცხოვრობენ, პირველი მაისის დღესასწაული შრომისა და ბრძოლის დღედ აქციეს, რათა რაც შეიძლება მეტი დახმარება გაუწიონ ფრონტს და რაც შეიძლება მეტი შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტანკი, თვითმფრინავი, საომარი მასალა, პური, ხორცი, თევზი და ბოსტნეული მისცენ მას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ფრონტი და ზურგი ერთიან და განუყრელ მებრძოლ ბანაკს წარმოადგენენ, რომელიც მზად არის გადალახოს ყოველგვარი სიძნელე მტერზე გამარჯვების გზაზე“.

თავდაცვის სახალხო კომისრის დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანება უდიდეს შთამგონებელ ხმად გაისმის ფრონტსა და ზურგში, იგი ერთხელ კიდევ გვაძლევს ნათელ და მკაფიო წარმოდგენას იმაზე, თუ რანი არიან ჩვენი მტრები—გერმანელი ფაშისტები. ომის გამოცდილებამ გააცამტვერა ლაყბობა გერმანელი ფაშისტების ნაციონალისტობაზე და სოციალისტობაზე, წარმოგვიდგინა ისინი როგორც მტაცებელი იმპერიალისტები, როგორც ბანკირებისა და პლუტოკრატების გამდიდრებისათვის მებრძოლი ყაჩაღი არამზადები, ომის გამოცდილებამ დაანახვა ჩვენს ხალხს, რომ გერმანელი ფაშისტები, რომელთაც სახრჩობელით მოჰფინეს ევროპა, რომლებიც სძარცვავენ და აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას, ანგრევენ ევროპის ხალხთა კულტურულ საუნჯეებს, ევროპის კულტურის მატარებლები კი არა, ევროპის კულტურის დაუძინებელი მტრები არიან. ხოლო გერმანელთა არმია შუა საუკუნეების ბნელეთის მოციქულთა არმიაა, რომელიც მოწოდებულია გაანადგუროს ევროპის კულტურა და დანერგოს გერმანელი ბანკირებისა და ბარონების მონათმფლობელური „კულტურა“.

საბჭოთა ხალხი და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი იმ ანალიზის საფუძველზე, რომელიც ბელადმა ომის გამოცდილებას გაუკეთა, უფრო ნათლად და მკვეთრად დაინახავენ, რომ საერთაშორისო პროლეტარიატს, მთელს მოწინავე კაცობრიობას არასოდეს არა ჰყოლია ჰიტლერულ ფაშიზმზე უფრო მოსისხლე და დუნდობელი მტერი.

თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანება მისწვდება გერმანელ მშრომელ მოსახლეობას, გერმანულ არმიაში გაწვეულ მშრომელებს, თვალს აუხელს გებელსის ცრუ და ყალბი პროპაგანდით დაბრმავებულ მუშებსა და გლეხებს და გამოიყვანს მათ პირსისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გზაზე.

ამასთან ბელადის ბრძანება საბჭოთა ხალხისა და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე შლის ნათელ პერსპექტივას, რომელიც ათი თვის ომის შედეგების სწორ და უტყუარ შეფასებას ემყარება.

ულოცავს რა პირველ მაისის დღეს, თავდაცვის სახალხო კომისარი ავალებს ყოველი სახის იარაღის მებრძოლებს — ზედმიწევნით დაეუფლონ თავიანთ საქმეს „რათა მთელმა წითელმა არმიამ მიაღწიოს იმას, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და ჰიტლერელი არამზადებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის გამთავისუფლების წელი გახდეს“.

ამ ბრძანებას სახელმძღვანელოდ გაიხდის ყველა საბჭოთა პატრიოტი. ფაბრიკა-ქარხნებში, რომლებიც შეიარაღებასა და საომარ მასალას ამზადებს, ეს ბრძანება ისევე აამაღლებს მუშათა საბრძოლო სულისკვეთებას, როგორც ფრონტზე. გმირული მიღწევებით უპასუხებენ ამ ბრძანებას ჩვენი საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველები, ყველა საბჭოთა პატრიოტის გულისყური, მთელი მისი აზრი და ფიქრი ამიერიდან უფრო მეტად იქნება ერთად-ერთ საქმეზე მიპყრობილი; ეს საქმეა ხელის შეწყობა საბჭოთა ხალხის ძლევამოსილებისათვის, სისხლიან ჰიტლერზე—ჩვენი არმიის გამარჯვების უზრუნველყოფა.

ახალი შემაძრწუნებელი ბრალდება ჰიტლერულ გერმანიისადმი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საშინელ ბოროტმოქმედებასა, მხეცობასა და ძალადობაზე ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში, წარმოადგენს ჰიტლერული გერმანიისა და მის ავაზაკ მესვეურებისადმი წაყენებულ ახალ შემაძრწუნებელ საბრალმდებლო აქტს.

არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხები, არამედ მთელი მოწინავე მსოფლიო აღაშფოთა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ჩადენილი საშინელი ბოროტმოქმედებისა, მხეცობისა და ძალადობის დოკუმენტალურად დადგენილმა ფაქტებმა, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გასული წლის 25 ნოემბრისა და 1942 წლის 6 იანვარს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ნოტებში. მაგრამ ის, რაც ამხ. მოლოტოვის ამ ახალმა ნოტამ გამოამჟღავნა და მზის სინათლეზე გამოიტანა, აორკეცებს კაცობრიობის ამ საყოველთაო აღშფოთებას და ჰიტლერელი კანიბალებისადმი უაღრესი სიძულვილისა და ზიზღის გრძნობით ავსებს ყველას, ვისაც კი ადამიანობა შერჩენია.

ბევრს უცხოეთში და შეიძლება ზოგიერთს ჩვენშიც ეგონათ, რომ გერმანელთა მიერ ჩვენს ტერიტორიაზე ჩადენილი გაუგონარი ბოროტმოქმედებანი ცალკეულ აღვირახსნილ ჯარისკაცთა და ჯარის ნაწილების ექცესებს წარმოადგენდნენ, რომ ეს საზიზღარი ფაქტები მხოლოდ უდისციპლინო დემორალიზებული გერმანელი მეომრების დანაშაულებრივი მოქმედების შედეგი იყოს, რომელთათვისაც სარდლობა ჩვეულებრივ პასუხს აგებინებს დამნაშავეებს. ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ამ ახალი ნოტის შემდეგ არავითარი საფუძველი აღარა რჩება, რომ ვინმემ ასე იფიქროს. ამხანაგ მოლოტოვის ნოტის შემდეგ აღარავის ეჭვი აღარ შეეპარება იმაში, რომ ჰიტლერელ ჯარისკაცთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ, საომარი მოქმედების დაწყებამდე წინასწარ იყო გულდასმით დამუშავებული და დიდიხნით ადრე შეტანილი გერმანიის მთავრობის გეგმებსა და გერმანიის სარდლობის ბრძანებებში.

ხელისუფლების სათავეში მოქცეულ ფაშისტ ავაზაკებს წინასწარ გადაუწყვეტიათ და საიდუმლო დოკუმენტებში შეუტანიათ, რომ საყოველთაოდ გაძარცონ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, ხელთ იგდონ და გერმანიაში გაიტანონ საბჭოთა მოქალაქეების პირადი ქონება და საბჭოთა სახელმწიფოს საკუთრება. ფაშისტური გერმანიის ყაჩაღურ-იმპერიალისტურ მთავრობას იმთავითვე გაუთვალისწინებია, რომ გერმანულმა ჯარებმა მთლად დაანგრიონ ის ქალაქები და სოფლები, რომლებსაც ისინი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა შეტევის შედეგად დასტოვებენ. ფაშისტურ გერმანიის ბანდიტურ მთავრობას წინასწარ გაუთვალისწინებია რომ გერმანელ ოკუპანტებს გადაეცეთ საკოლმეურნეო მიწები და დაპყრობილ მიწა-წყალზე დაამკვიდრონ გერმანელი მემამულეები და გერმანელი „მმართველები“. გერმანიის ფაშისტურ მთავრობას და მის სარდლობას წინასწარ ჰქონია გადაწყვეტილი შემოიღონ ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენი მუშებისა და გლეხებისათვის მონურ-ბატონყმური შრომა და ძალდატანებით წაიყვანონ იძულებით სამუშაოზე გერმანიაში რამდენიმე მილიონი საბჭოთა მოქალაქე. ფაშისტური გერმანიის გარეწარ მესვეურებს და მათი ვანდალური არმიის სარდლობას წინასწარ გაუთვალისწინებია რუსული ნაციონალური კულტურისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის ლიკვიდაცია, რუსების, უკრაინელების, ბელორუსებისა და სხვა ერების ძალდატანებით გაგერმანელება.

ამ ავაზაკური გეგმებით შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას გერმანელ ფაშისტთა ურდოები. შემოესივნენ და გერმანული პედანტური სიზუსტით, საოცარი გულგრილობით და საშინელი დაუნდობლობით, ამასთან ორგანიზებულად სპობდნენ და სპობენ მთელს ქალაქებს, სოფლებს, მიწასთან ასწორებდნენ მათ, ანადგურებენ კულტურის ძეგლებს, სკოლებს საავადმყოფოებს, მუზეუმებს, თეატრებს, კლუბებს, საკოლმეურნეო ნაგებობებს, საბჭოთა მეურნეობებს. ავაზაკური ინსტრუქციების თანახმად, ყველგან, სადაც კი ფეხი შესდგეს, შემოიღეს კატორღული შრომა მუშებისათვის და აშკარა ბატონყმობა გლეხებისათვის. მილიონ საბჭოთა მოქალაქის სამხედრო ტყვედ გამოცხადება და მათი გარეკა საკატორღო შრომის უღელში შესაბმელად გერმანიაში, ძალადობა და წამება საბჭოთა ქალებისა და ბავშვებისა,—ასეთია შედეგი იმ სისხლიანი „ახალი წესრიგისა“, რომელსაც გერმანელ ყაჩაღ იმპერიალისტთა მთავრობა და მისი სარდლობა „ამყარებს“ ჩვენს მიწა-წყალზე.

მაგრამ ხანმოკლე იქნება გერმანელ ოკუპანტთა თარეში მათ მიერ დროებით დაკავებულ საბჭოთა ტერიტორიაზე. „ჰიტლერის მთავრობა და მისი დამქაშნი ვერ გაექცევიან სასტიკ პასუხისმგებლობას და დამსახურებულ სასჯელს, ყველა მათი უმაგალითო ბოროტმოქმედებისათვის, რაც მათ ჩაიდინეს სსრ კავშირის ხალხთა წინააღმდეგ და თავისუფლების მოყვარე ყველა ხალხის წინააღმდეგ“.

— ასეთია ისტორიის განაჩენი, რომელსაც სისრულეში მოიყვანს საბჭოთა ხალხი. მისი წითელი არმია დიდი სტალინის წინამძღოლობით აქცევს რა ერთხელ და საბოლოოდ მიწის პირისაგან ჩვენი სამშობლოს და კაცობრიობის უბოროტეს მტერს—სისხლიან ჰიტლერიზმს.

შალვა დადიანი.

ნორჩი მხატვრები

ის მოლბერტთან ზის და მუშაობს. მისთვის ხატვა არვის უსწავლებია. განსაკუთრებით ფერების საიდუმლოება იყო მისთვის უცნობი, მიუღწეველი. სოციალისტურმა სამშობლომ ყველაფერი მისცა მას და მისი ასაკის ბავშვებს. მისცა ფართო გზა ნიჭს, გადაუშალა დიდი ასპარეზი ზრდისა და შემოქმედებისათვის.

ეს ახალგაზრდა მ. სუპატაშვილია, იგი 13 წლისაა. სკოლაში სწავლობს, გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს სულ მოლბერტთან ატარებს, მუშაობს ზეთით, უკვე დახატული აქვს რამდენიმე სურათი. ზოგი სურათი კედელზე ჰკიდია, ზოგი იქვე მოლბერტთან აწყვია, თვით მოლბერტზე დაუმთავრებელი სურათი დევს. ეს სურათი რუბოს სურათის ასლია. ახალგაზრდა მხატვარს რამდენჯერმე გადმოუღია ამ სურათის ასლი. ყოველ ახალ ნამუშევარში იგრძნობა ახალგაზრდა მხატვრის ზრდა. იგრძნობა, რომ შრომისა და მეცადინეობის შემდეგ ახალგაზრდა მხატვარი უფრო სწორად აზავებს ფერებს, უახლოვდება დედანს. ყოველი ახალი წარმატება მეტ ენერგიას მატებს, ახალი მიღწევებისაკენ მოუწოდებს.

ამ ბავშვის ნამუშევრები ნათლად მოწმობენ, რომ ეს ახალგაზრდის უბრალო გატაცება ან თავის შექცევა არ არის. მას დიდი მისწრაფება აქვს ხატვისაკენ. მას ამისი ნიჭი და უნარი მოეპოვება.

სუპატაშვილი მარტო არ არის. ჩვენი ქვეყანა მრავლად წარმოშობს ასეთ ახალგაზრდებს. ამას წინად მოწყობილი ნორჩ შემოქმედთა გამოფენა ამას ნათლად ადასტურებს. მათი შემოქმედების თემა იყო ჩვენი ქვეყნის ლაღი ცხოვრება. ისინი ყოველდღიურობით იყვნენ დაინტერესებული და ახლოს გრძნობდნენ სოციალისტური სამშობლოს მაჯისცემას.

ეს ახალგაზრდა შემოქმედები ახლა, ომის პირობებში, სულ სხვა თემატიკით არიან გატაცებულნი. ისინი ისევე, როგორც სრულასაკოვანი მოსახლეობა, განიცდიან სამამულო ომს, ზიზღით არიან გამსჭვალულნი გერმანელ ოკუპანტების მიმართ, მოელიან ჩვენი ხალხის ძლევამოსილ გამარჯვებას. სწორედ ამიტომ არის, რომ მათ პატარა მოლბერტებზე სამამულო ომის თემატიკაზე აგებული სურათებია დაწყობილი. ისინი გატაცებით ეძებენ ფერებს, განწყობილებას ჩვენი სამამულო ომის გმირული ეპიზოდების გამოსახატავად.

მიუხედავად ომის პირობებისა ეს ახალგაზრდა ენტუზიასტები, პატარა შემოქმედნი იზრდებიან და წინ ისწრაფიან.

საჭიროა მხოლოდ მათი მუშაობის მეტი ორგანიზება. საქართველოს მხატვართა კავშირმა ამ საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. აღრიცხვაზე აიყვანოს მხატვრობით გატაცებული ნიჭიერი ბავშვები, სწორი გზით წარმართოს მათი შემოქმედებითი ენტუზიაზმი, მეტი კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე. მხატვართა კავშირის ასეთი მუშაობა გამოავლენს მხატვართა ახალ კადრებს და ბევრ ნიჭიერ შემოქმედს შემატებს საქართველოს საბჭოთა მხატვრების რიგებს.

ჩ. ნ.

მრისხანე ანგარიში

ალექსანდრე აბაშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა, უმსგავსო თქვენი საქმენი
და უსახელო ნამოღვაწარი:
მუხანათობა, ძნელად სათქმელი,
უაზრო ნგრევის ქვა და ნაცარი,
ძარცვა, მკვლელობა, რბევა, თარეში
და ონავრობა განუსაზღვრელი!
ჯერ მიითვალეთ ეს ანგარიში,
კიდევ ბევრი გვაქვს ჩამოსათვლელი.

—:—

თქვენი მუხთლობა განსაცვიფრები
და ვერაგობა გაუგონარი
დადაღულია ცეცხლის ციფრებით
და აკინძული სისხლის ზონარით.
ვერც ნაქურდალით სავსე კალთები,
ვერც გაყინული ცრუ იმედები
ვერ დაგიხსნიან: თქვენ ამ ბრალდების
რკინის კუბოში ჩაიჭედებით.

—:—

თქვენ არ დაინდეთ აღარც ახალი,
აღარც წარსულის დანატოვარი,
აღარც მოხუცი, არც ყრმა და ქალი
და აღარც ბალღი ძუძუმწოვარი.
ბალღებმა მაინც რა დააშავეს?!
აბა, რა ჰქენით? აბა რას შვრებით?
დედების თვალწინ, ხმელ შეშასავით,
ცეცხლს შეუკეთეთ თოთო ბავშვები!

—:—

თქვენდამი ზიზღმა და სიძულვილმა,
სამაგიეროს ზღვევის წყურვილმა
უკვე მოისხეს ცეცხლის მტევნები.
ჩვენ ამ გრძნობებით დაგედევნებით
და ვიდრე მკვლელებს, ქურდებს, მძარცველებს
საზღვარს გადაღმა გადაგხვეტავდეთ,
ბავშვთა და ქალთა სისხლსა და ცრემლებს
სულ გაზღვევინებთ წვეთით-წვეთამდე!

—:—

თქვენ გადაიხდით სამაგიეროს,
თავს დაგატყდებათ გრგვინვა მთებური.
— გმირებო! დარტყმა გავაძლიეროთ!—
გრიალებს ხალხი აღშფოთებული.
გმირებს სამშობლომ ამ დღისთვის მისცა
გული მამაცი და გამბედავი.
სისხლის აღებას მოითხოვს მიწა,
შურისძიების ცეცხლით მფეთქავი.

გაზაფხული

ვასო გორგაძე

შემოვა ბაღში, და ვარდების თაიგულებით
ხელს მიქნევს შორით, ხან იებით სახეს იჩრდილავს,
მომესალმება: ზამბახებით, მზით, ალუბლებით
და ჯეჯილებზე გადმოჰკიდებს მაისის დილას.

წრფელის გრძნობებით, გულზე სხივებგადანაყარი —
მეც სიყვარულით ვეგებები, ვით ძველ მეგობარს,
მინდა შთამბეროს სული მტკიცე, ძალა ახალი,
მომცეს სამშობლოს დასაცავად გმირის მხნეობა.

რომ გაჰქრეს ღამე, ტყვიასავით დამძიმებული,
მთების წვერებზე ცა აენთოს—სინათლის მფენი
და ტრიბუნიდან — მშობლიურად გაღიმებული —
ხალხს გამარჯვებას ულოცავდეს ბელადი ჩვენი!

განაჩენი

ლადო ავალიანი

სამას-სანთლიან ელნათურზე ჩამოფარებულ შუქფარისაგან ოთახის ჭერს, კედლებს, მაგიდაზე დაწყობილ საგნებს, წიგნების გრძელ, ღია თაროს შუქის მწვანე ფერი გადაჰკრავდა.

ოთახში ორნი იყვნენ. შუქფარიანი სინათლის წყალობით მათი სახეებიც გამწვანებულიყო.

ფერწერის კლასის პროფესორი განიერ, რბილ სავარძელში იჯდა, მუხლზე ბოტიჩელის ნაწარმოებთა რეპროდუქციების ძვირფასი ალბომი ედო და მოწიწებით ათვალიერებდა. ხანგამოშვებით ისმოდა გადაშლის დროს თუნუქის ფურცელივით მკვრივი ქაღალდის ტკაცუნი და პროფესორის მომხიბლავი გაოცების გამომხატველი, ოდნავ გასაგონი შენიშვნები. როცა იგი თვალის ოპერაციებში სახელმოხვეჭილ პროფესორს ესტუმრებოდა, უმალვე წყალს და ბოტიჩელის ალბომს მოითხოვდა, მაგრამ ვერც წყალი და ვერც ბოტიჩელის ხშირი თვალიერება მის უცნაურ წყურვილს ვერ ანელებდა. ჩაფიქრებული გლებოვი დინჯი ნაბიჯით ოთახში ბოლთასა სცემდა. ოთახში მწიფე შვინდისფერი ძვირფასი ნოხი იყო გაფენილი. ნოხის სირბილე ნთქავდა ფეხის ხმას. პროფესორი აჩრდილივით უხმოდ მიმოდიოდა მწვანე ბურუსით მოცულ ოთახში. ხანდახან იგი სიარულში მარცხენა ფეხსაცმელის ქუსლს ზედმეტად ძალას ატანდა, ქუსლი რიტმიულად ჭრაჭუნებდა და ოთახის მყუდროებას არღვევდა. პროფესორი წამით შეჩერდებოდა ხოლმე ღია ფანჯარასთან, გარეთ ხელს გაიშვერდა, წკიპურტით პაპიროსს ფერფლს გააყრევინებდა და სანამ შემობრუნდებოდა, ქალაქს მედიდურად გახედავდა. წყვდიადში აქა-იქ ისე ციმციმებდნენ ელნათურები, როგორც ტბაში ვარსკვლავების გამოსახულებანი.

როცა ფიქრებით მოცული პროფესორი ფანჯარას ზურგს შეაქცევდა, უმალვე მოპირდაპირე კედლისაკენ გაიხედავდა. კედელზე დაკიდებულ, ზეთის ფერებით შესრულებულ პორტრეტს ხარბად აკვირდებოდა და ისე უახლოვდებოდა, თითქო ნაბიჯით კი არ მიიწევს წინ, — პორტრეტის „ძალა“ იზიდავსო თავისკენ. გლებოვის ამ პორტრეტის წერა ავადმყოფობამდე ერთი თვით ადრე დაიწყო ფერწერის კლასის პროფესორის საყვარელმა მოწაფემ ოლეგმა. არ დასცალდა. ავადმყოფობის მოხდის შემდეგ უეცრად გართულებამ იჩინა თავი და ოლეგი სასტიკად დაისაჯა: მხედველობა დაეკარგა. ავადმყოფის მკურნალობას ორი წელი დასჭირდა. პირველმა ოპერაციამ: რქისებური გარსის გადანერგვამ ამაოდ ჩაიარა, მაგრამ გლებოვს გული არ გასტეხია. ასეთი შემთხვევა პირველი არ იყო არც გლებოვის და არც მისი დიდი მასწავლებლის პრაქტიკაში.

განმეორებითი ოპერაცია ხვალისთვის დანიშნა გლებოვმა. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული იყო ხვალინდელი ოპერაციის წარმატებით ჩატარებაში, გულის სიღრმეში მაინც ფარულად ფიქრობდა: „ვისთვისაც გული შეგტკივა, ვისთვისაც არაფერი არა გშურს, სწორედ მას ვერ უშველი“...

თავის პორტრეტისაკენ თვალ-მიპყრობილი, ფიქრებით მოცული გლებოვი უნებურად გამოარკვია ფერწერის კლასის პროფესორის შენიშვნამ:

— რაც დრო გადის, ეგ პორტრეტი, ალბათ, უფრო და უფრო მოგწონს.

— უფრო და უფრო!

— ის თვალი, რომელიც აზავებდა და არჩევდა მაგ ფერებს, ორი წელიწადია უკვე ვეღარაფერს ხედავს, — მწუხარებით შენიშნა ფერწერის კლასის პროფესორმა.

— მალე მის თვალსაც და მის ხელსაც წინანდელ უნარს დავუბრუნებთ...

* * *

ოპერაცია ბრწყინვალედ ჩაატარა გლებოვმა. ფერწერის კლასის პროფესორი ოლეგს მაგივრად ჰკოცნიდა და თავს ევლებოდა გლებოვს, საყვარელ და სახელოვან კოლეგას. ამ ოპერაციის შემდეგ გლებოვის ავტორიტეტი კლინიკის მოსამსახურეთა თვალში ერთი ათად ამაღლდა...

მისი თვალის ქუთუთოების, საფეთქლისაკენ სხივებივით გაბნეულ ნაოჭებში ფარული სიხარული, კმაყოფილება და ოპერაციაზე ხანგრძლივი ფიქრით გამოწვეული დაღლა ჩასახულიყო...

საღამოთი ერთხელ კიდევ ინახულეს ფერწერის კლასის პროფესორმა და გლებოვმა გაბედნიერებული ოლეგი. მას თვალებზე მარლა ეხვია და მარტო ტუჩების მოძრაობით გამოხატავდა თავის უსაზღვრო სიხარულს.

სახლში დაბრუნებისთანავე დღევანდელი წარმატებით კმაყოფილი და მოქანცული გლებოვი უმალვე დაწვა და გვერდ-შეუნაცვლებლად მანამდე ეძინა, სანამ შემზარავმა ხმაურმა და ზანზარმა არ გაუფრთხო ძილი. ამ ხმაურზე სახლებთან ერთად თითქო მიწაც ტორტმანებდა... გლებოვს ჯერ მოჩვენება ეგონა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მოჩვენება სანატრელი რამ იყო იმასთან შედარებით, რაც ნამდვილად ხდებოდა.

ხანგამოშვებით ისმოდა აფეთქების გრგვინვისებური ხმა. გაბზარულ კედლებიდან ცვიოდა ნალესი, ფანჯრის ჩარჩოებიდან—დამსხვრეული შუშები, და უდროოდ იღვიძებდა მშვიდად მიძინებული ქალაქი.

* * *

ხელჩართულმა ბრძოლამ ქუჩებში ორ დღესა და ღამეს გასტანა. მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ გადასწყვიტა ქალაქისათვის ბრძოლის ბედი.

გლებოვი ფანჯრის კუთხიდან ადევნებდა თვალს ქალაქში მტრის ჯარის შესვლას, მაგრამ, როცა მეავტომატეებმა ფანჯრებს სროლა აუტეხეს, მან უსიამოვნოდ უკან დაიხია... უეცრად გაახსენდა კლინიკა, ოლეგი, და დილამდე არ შეუწყვეტია ფიქრი თავისი ძვირფასი პაციენტის შესახებ. ოლეგის უცაბედი დაღუპვის შესაძლებლობა საგრძნობლად აღელვებდა, მაგრამ არა სჯეროდა, რომ მოსალოდნელი ყოფილიყო მსგავსი რამ. კლინიკას და ავადმყოფებს, მისი ფიქრით, ხელს არ ახლებდნენ გერმანელები.

დილაადრიან, როცა გლებოვმა კლინიკაში წასვლა დააპირა, დერეფნის კარებში სამი გერმანელი ოფიცერი და ერთი ნაცნობი მოქალაქე შეეგება. მოქალაქე ოფიცრებს დაუპატიჟებლად შეუძღვა გლებოვის ბინაში და მხოლოდ ამის შემდეგ გააცნო მან ახალმოსულნი მასპინძელს.

— ეს ექიმი ჯადოქარია, — დაუმატა მან ბოლოს, — ვინ იცის, რამდენ ბრმას აუხილა თვალი!

— განა თითონ ისე კარგად ხედავს, რომ სხვებს ეხმარება? — გერმანულად შენიშნა პირხმელმა, მონოკლიანმა ოფიცერმა თავის კოლეგებს. მათ მოურიდებლად გაიცინეს.

— ბატონებო, ჩემს მხედველობას თქვენ ვერ დაიწუნებთ! — სუფთა გერმანული კილოთი მიუგო გლებოვმა ოფიცერს.

— მხედველობისა რა მოგახსენოთ, გერმანულად კი... უნაკლოდ ლაპარაკობთ. უთუოდ ნამყოფი იქნებით ჩვენს ქვეყანაში?

— 1913 წელს დავამთავრე გერმანიაში სამედიცინო დარგი... დასხედით! — მიიპატიჟა გლებოვმა ოფიცრები და სათითაოდ სკამი მიაწოდა, — იშვიათი ქალაქი იყო ლაიპციგი... მე მიყვარს გერმანული ენა, გერმანული კულტურა, ხალხი.

ოფიცრები ელვისებურად წამოიჭრნენ ზეზე და ბოხი, უსიამოვნო, ელარუნა ხმით შესძახეს ერთმანეთს:

— გაუმარჯოს ჰიტლერს!

— ჰიტლერს... მე არ ვიცნობ,—ფრთხილად შენიშნა გლებოვმა და ოფიცრებს სათითაოდ დააკვირდა. ოფიცრებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

მონოკლიანმა უკმაყოფილოდ და თითქოს მუქარითაც შენიშნა:

— ვინც ჰიტლერს არ იცნობს, როგორ შეუძლიან სთქვას, რომ ის გერმანიას იცნობს და მით უმეტეს, პატივსა სცემს თითქო... ეს თავხედობაა!

პროფესორს აღელვება დაეტყო, თავშეუდურად წამოთქმულმა „თავხედობა“-მ უსიამოვნოდ გაალიზიანა მისი სმენა.

— უნდა იცოდეთ, რომ, — განაგრძო მონოკლიანმა ოფიცერმა, — ჰიტლერი — გერმანიაა... გაუმარჯოს ჰიტლერს! — მერე დინჯად მიმართა პროფესორს: — გთხოვთ გაიმეოროთ ჩემი ნათქვამი!

პროფესორს სახე წამოუწითლდა, გაოცებით გადახედა ნაცნობ მოქალაქეს, შემდეგ უკმაყოფილოდ შენიშნა ოფიცერს:

— ბოდიში... მე თუთიყუში არა ვარ!

* * *

შეურაცხყოფილმა პროფესორმა არ დაუჯერა ნაცნობი მოქალაქის რჩევას: არ გაეკარებოდა კლინიკას.

ნაშუადღევს მან ჯოხი მოიმარჯვა, შლიაპა დაიხურა და გაპარტახებული ქალაქის ნაცნობი, ოდესღაც ლამაზი, ახლა კი მოთხრილ-მოთხრილი, გვამებით მოფენილი ქუჩებით კლინიკისაკენ გაეშურა. კლინიკას ახლო არ მიაკარეს, ავტომატ-მომარჯვებული ჯარისკაცების გამომეტყველება პროფესორს თითქო ახვედრებდა და აფრთხილებდა, რომ საკმარისია ერთი ნაბიჯიდ წინ წაწევა, რათა დააკმაყოფილოს მათი გულის წადილი: მათ არც ტყვიები შურდათ, არც სისხლის დანახვისა ეშინოდათ.

იღბლად კლინიკიდან მომავალი გერმანელი სამხედრო ექიმი შენიშნა გლებოვმა, გზა გადაუღობა, როცა იგი ავტოსაკენ მიეშურებოდა და მორიდებით მიმართა:

— ექიმო, რა მიზეზია, რომ კლინიკაში აღარ მიშვებენ? მე არ დამიმსახურებია ასეთი მოპყრობა, მე მიცნობენ ქალაქში, პატივს მცემენ.

— მე კი არ გიცნობთ... არც პატივს გცემთ!

— კეთილი, მაგრამ რატომ არ მიშვებთ კლინიკაში? მე აქ თხუთმეტი წელიწადი გავატარე. ავადმყოფები მელოდებიან...

— ნუ სწუხართ: თქვენი კლინიკა ამჟამად გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალია. თქვენი ავადმყოფები კი... —ექიმმა სიტყვა აღარ დაასრულა, ავტოსთან შეგროვილ ჯარისკაცებიდან ერთი მოიხმო და დაავალა: — აჩვენეთ ამ ექიმს თავისი ავადმყოფები, — თანაც თვალით რაღაც ანიშნა ჯარისკაცს.

გერმანელმა ექიმმა მედიდურად აბრუნა პირი, ავტოში ჩაჯდა და კარი მაგრა მიიჯახუნა. ავტო სწრაფად გასრიალდა.

ჯარისკაცი გლებოვს გაუძღვა, კლინიკის უკანა ეზოში შეიყვანა, მშვიდად ანიშნა ხელით და აუხსნა:

— ყველანი იქ არიან!

გლებოვი, უსიამოვნო წინაგრძნობით დაძაბუნებული, ბორძიკით, კანკალით მიუახლოვდა თხრილს. თხრილში მიყრილ-მოყრილი იყო გასისხლიანებული მარლისა და ბამბის ნაგლეჯები. ავადმყოფებისათვის პერანგებიც კი გაეძროთ. შიშველ სხეულზე მკაფიოდ აჩნდათ ნატყვიარი და აქა-იქ ფართო ლაქებად კანზე მიმხმარი სისხლი... პროფესორმა მხოლოდ ერთხელ მოასწრო დაჭვრეტა: თვალთ დაუბნელდა, იქვე ჩაიკეცა.

როცა გონს მოვიდა, კლინიკის რკინის ღობის გაღმა თხრილში ეგდო. თავი ასწია, კვნესით წამოიწია, მაგრამ უმალვე დაეშვა. მთელი ტანი სტკიოდა, მარცხენა მკლავი დასიებოდა, მუხლზე შარვალი შემოჰხეოდა, გარეტიანებულ და დამძიმებულ თავს კისერი ვეღარ იმაგრებდა. წამოდგომა აღარ უცდია: კიდეც რომ შესძლებოდა, აღარ უნდოდა წამოდგომა. მისთვის ყველაფერი გათავდა.

* * *

როცა მოულოდნელად ხელის შეხებამ კვლავ გამოაფხიზლა და გონს მოიყვანა, გაოცებულს ცრემლი მოერია თვალებში. თავზე ადგა ფერწერის კლასის პროფესორი, სველი ცხვირსახოცით სახეზე მტვერს და სისხლს სწმენდდა. ბოლოს ფრთხილად წამოაყენა მან კოლეგა, მკლავში ხელი გამოსდო და ნელა გაატარა...

ფერწერის კლასის პროფესორმა გლებოვს ურჩია, მასთან გაეთია ღამე. გლებოვი დაეთანხმა. წინ ჯერ კიდევ საკმაო გზა ედოთ და ამიტომ ნაბიჯს აუჩქარეს. გლებოვი წუთით შეჩერდებოდა ხოლმე, სულს მოითქვამდა და ისევ აედევნებოდა თავის კოლეგას.

შუა ქუჩაში სამმა გერმანელმა მოტოციკლისტმა გაიჯირითა. მათ ერთი წუთის შემდეგ მეოთხე მოჰყვა, მეოთხეს — მეხუთე. მოახლოვებული მეექვსე მოტოციკლის რახრახიც უკვე გარკვევით ისმოდა, უეცრად სროლის ხმა გაისმა. გლებოვს და მის კოლეგას ჯერ ეგონათ, რომ მოტოციკლისტმა ესროლათ მათ, მაგრამ გასროლისთანავე მოტოციკლისტმა თავზე ხელები იტაცა. იმავე დროს მოტოციკლი შებრუნდა, მძლავრად მიენარცხა ქვის კედელს, აყირავდა, უკანვე გადაავარდა და ზემოდან დაეცა მიწაზე გართხმულ მოტოციკლისტს.

პროფესორებმა მეხუთე სართულზე უცნობი მობინადრის კარებზე დააკაკუნეს. ფრთხილ კაკუნზე კარი ოდნავ გაიღო და ქალის სუსტი ხმა გაისმა.

— ქალბატონო, გთხოვთ მიგვიღოთ, ქუჩაში გერმანელი მოტოციკლისტი მოჰკლეს და...

ვინაობის შეტყობის, გამოლაპარაკების შემდეგ ქალმა უნდობლად ჩაათვალიერა პროფესორები, ოთახში შეიყვანა და უმალვე კარი მოჰკეტა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქვედა სართულში გაისმა თოფის კონდახების დაშენის ხმა და მობინადრეთა წყევლა-კრულვა.

პროფესორებმა უმალვე ყურები სცქვიტეს. ყმაწვილმა ქალმა კი თავში ხელები წაიშინა, გონება-დაბნეული ლოგინში წამომჯდარ, შეშინებულ ბავშვს ეცა, საბანი მოახვია და ხელში აიყვანა.

ყმაწვილი ქალის აბნეულმა სახემ პროფესორებიც შეაშინა. გლებოვმა ფანჯარაში გადაიხედა. ქვემოთ, ქუჩაში, მწკრივში მდგარი ქალი და კაცი, დიდი და პატარა მოუთმენლად ელოდა ბარბაროსების განაჩენს.

* * *

სულ რაღაც სამიოდე წუთი გავიდა შემაძრწუნებელ მოლოდინში. კარებს რამდენჯერმე მოხვდა თოფის კონდახი, კიდევ ორ-სამი დარტყმა და ჩარჩოდან გამოვარდნილი ფიცრები იატაკზე ხმაურით მოეფინენ. ცოფიანებივით გაშეცებულმა „წესრიგის მცველებმა“ პირველად ბავშვიანი ქალი შენიშნეს და მას ეცნენ. ქალი ხმას ვეღარ იღებდა, შიშისაგან დამუნჯებულიყო. ორი წლის ბიჭუნა კი ხმამაღლა ტიროდა. მდუღარე ცრემლები მოგორავდნენ მის ლოყებზე.

„წესრიგის მცველებმა“ შენიშნეს თუ არა პროფესორები, მათაც უბრძანეს გარეთ გასვლა.

გლებოვმა მრისხანედ დაუბრიალა თვალები ჯარისკაცებს. ორი ნაბიჯი გადადგა, ქალსა და მათს შუა ჩადგა.

— როგორ ბედავთ, არამზადებო! — გერმანულად შეჰყვირა მათ და ბავშვიან ქალს ხელი მოჰხვია.

კარებში უეცრად გამოჩნდა პირხმელი, მონოკლიანი ოფიცერი. გლებოვმა მაშინვე იცნო იგი.

— ოფიცერო, რას სჩადით... — ჯარისკაცებმა სიტყვა აღარ დაასრულებინეს, მკლავებში ხელი ჩასჭიდეს და გლებოვი ოთახიდან ძალით გაიყვანეს. შემდეგ გაიყვანეს ბავშვიანი ქალი და ფერწერის კლასის პროფესორი.

— ამდენ სახლში ასი კაციც ვერ მოვაგროვეთ! — ბრაზობდა ოფიცერი.

გლებოვი კი არა სცხრებოდა, იმუქრებოდა. ფერწერის კლასის პროფესორმა ხელი ჩაიქნია, მეგობარს აგრძნობინა: სულერთია, არაფერი გამოვა. გლებოვი ოდნავ მოლბა.

— გთხოვთ, შეიბრალოთ ეს უდანაშაულო ბავშვი და ქალი...

— გერმანიის სარდლობის ბრძანება არ ითვალისწინებს შეღავათს პროფესორებისა, ბავშვებისა და ქალებისათვის. გერმანელი ჯარისკაცის ერთი წვეთი სისხლი ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე...

— მესმის, გასაგებია! — შეაწყვეტინა სიტყვა გლებოვმა.

— აა, პროფესორო, გიცანით! ჩვენ ჯერ კიდევ დილით შევხვდით ერთმანეთს... ძალიან გამოცვლილხართ... მაშინ გადამირჩით, ახლა კი... აბა ახლა გაიმეორეთ: გაუმარჯოს ჰიტლერს!

პროფესორს დამცინავი ღიმილი შეუთამაშდა გაფითრებულ სახეზე.

— ბოდიში... მე თუთიყუში არა ვარ!

— როგორ?! განა თუთიყუში ამ სიტყვებს იმეორებს? ან მე თუთიყუში ვარ? — ოფიცერს სახე მოელრიცა, მონოკლი თვალის ფოსოდან გადმოუვარდა, — ჩაათრიეთ ძირს ეს პრო-ფე-სო-რი! — მაგრამ სანამ ჯარისკაცები გლებოვს მისწვდნენ, მან დაასწრო, ოფიცერს ეცა და კიბის მოაჯირზე მიანარცხა, გადააწვინა... თვალის დახამხამებაზე ორივენი კიბეებს შუა ლიფტისთვის დატოვებულ მაღაროს ჭასავით ბნელ და უძირო ხვრელში თავდაყირა გადაეშვნენ...

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7636